



სოფრონ

გვარი გლივილი.

მიმოხილვას



გამოცემა იასონ კარეველიძისა 13.



საქართველოს
მთავრობის
მინისტრის
მინისტრი

სოფრონი

ეგაღოზალიშვილი.

2888

მისამართი.

163. 2194.

ქადაგი



17

ქ. გორი 1916 წ. სტამბა დ. მაკავარიანისა.

არა აგრძნობინო-ჩა... ავადმყოფი საზოგადოდ
ეჭვიანია, სხვის თვალებში კითხულობს თვისს ბედსა
და უბედობასა.

— მაგის სულის-კი ჭირიმე მაგისი რად ვაგრძნო-
ბინებ! ოღონდ-კი ნურა დაუშავდებარა და სულ
ლილინით შევალ-გავალ. მე შენ გითხრა, არ უყვარს
სიმღერა!.. მაგრამ მათეს ჩვენი ხალხისა რა არ
უყვარს...

— მისთვის წელებზე ფეხს იდგამდა, ჩემო თედო,
და იმან მოუსწრაფა სიცოცხლე; მარტო ვერ
შესძლო ტვირთის ტარება, უთხრა ნაღვლიანაჲ
თეკლებ.

მათე ლაშხი მაგიდასთან იჯდა; ქუდი თვალებამ-
დე ჩამოეფეატნა, მუხლები შალში გაეხვია და
ზურგი აპრიალებული ბუხრისათვის მიეშვირა.
მაგიდაზედ რვეულები ეყარა, აქეთ-იქით წყობად-
წყობად ილაგებდა, ნელა, ნაზის ხმით ჩაპლილი-
ნებდა რვეულებს, თითქოს ჰსურს თვისი სული და
გული ღილინით რვეულებს გადასცეს და შიგ
ჩაურთოსო.

თეკლე და თედო მხიარულად შემოვიდნენ და
ბუხარს აქეთ-იქით მოუდგნენ, მათემ შემოხედა და
ნაძალადევად მოეჩვენა მათი მხიარულობა.

თეკლემ მათეს მხარზედ ხელი დადო, თავი თავს
გიუახლოვა და ჩაელაპარაკა;

— ექიმმა დასვენება გირჩია!.. მაგ მტვრიან

ქალალდების გადასინჯვას მერეც მოასწრობ...

მათე მოტრიალდა, თეკლეს თვალებში შეაცეცდა; მოედო ბუხრისკენ მიბრუნდა, ჩემს თვალებშიც არა ამოიკითხოსრაო.

— მე მალე დავისვენებ, ჩემო კარგო, მალე... აი, შენი თვალებიც მაგას ჰმოშმობენ...

— როგორ გეკადრება ეჭვიანობა... მე შენ რკინის კაცად მიცვნიხარ და რაებს ამბობ.

— რკინა ცეცხლში რბილდება, დნება, ილევა; ცხოვრების ცეცხლმა გამლია... აი, აი, მე შენს თვალებში ვკითხულობ ამ ჭეშმარიტებას... აღამიანის თვალში ბრვრი რამ იხატება, ქალისაში ხომ შეელი ქვეყნიერება... მაშ რას ნიშნავს ეგ და-სცელებული წამწმები?...

— არაფერს, ქარზედ ვიდექ, თვალები დამიშებლა და ამიტომ დამიცრემლდა...

— მადლობელი ვარ, თეკლე, მაგ ცრემლისათვის, სიანს პატივსა მცემ, გიყვარვარ; ცრემლში კვდება დარდი და მწუხარება. იგი წყლული გულის მალამოა... ახლა წადი, შენს სახლს მიჰედე... მაგრამ დღეს რას კითხულობ საკვიროა სკოლაში... ხომ უემმაგიერობა დღეს შენ იკისრე, არა?...

— მე ვკითხულობ „ნათელას“ და შენი საყვარელი პეტრე „ბზობას“...

თეკლე განშორდა, მათე მარტოა, ანთებულს ბუხარს შესცეკვის, თვალები აუმღერდა, აუციმ-

ციმციმდა, თვით კარებისკენ გადიხარა და სთქისე, თითქო მიმავალს ვისმეს თვისი ნაჟქვამი უნდა გააყოლოს და გააგონოსო.

—ნეტავი იმას, თეკლე, ჩემო „ნათელავ“, ვისა შენგან ნაკერი ჩოხა შეხვდება... იქნება... იქნება თეკლე ჩემი თანამგზავრი რომ გამხდარიყო, უღელ შემსუბუქებიყო. ასე არ დავეჩაგრე ცხოვრების თან ბრძოლასა... მაგრამ თუმცა ცოლშვილობ ტკბილია, სიმწარეც ბევრი მოსდევს... ჩემისთან კაცისათვის ცოლშვილიანობა ოცნებაა სწორედ ოცნება! ერთს ლარიბს რამდენიმე ლარაბი კიდე უნდა შევძინო... ჩემისთანა კაცი ხალხისათვის უნდა ცხოვრობდეს, ის არის მისი საზრუნი, რა უნდა ეთაყვანოს... „აღიღე ჯვარი ჩემი და შემომარცექ მეო“, გვიმოძღვრა ქრისტემ... რა ღრმა ფილოსოფიაა დაკრძალული ამ პატარა წინა-დადებაში... ეს უანდერძა ყველას, ვისაც-კი გული შესტკავა კაცობრიობისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ჩენ სოფლის მასწავლებლებს, გვხვდა წილად ეს მოძღვრება... თუ სავსებით ვერ შევიძელ შენის მოძღვრების აღსრულება უფალო, ნუ შექრისხავ მონასა შენსა!.. მიაპყრნა მათემ თვალნ კუთხეში დასვენებულს მაცხოვრის ხატსა და პირ ჯვარი გადაისახა... თუ ვერ გავაკეთე, რაც ჩემს გულს სწადდა, ბრალია თვით ცხოვრება, რომლის გარდაქმნა ძნელია. ვერც გავაკეთებდი იმას, რაც

მწადდა: ხალხი პატივსა მცემს, ვა ჭუობ, ვუყვარვარ, მაგრამ გულს არ მისნის, არ მენდობა; ნდობა მასთან მე-კი არ ღიმიკარგავს, დაუკარგავს ჩემს წინაპარ ჩემს პაპას, ჩემს მამას. მე ხალხისთვის მისი შვილი არა ვარ; მე მის თვალში მღვდლის შვილი ვარ; თავი დაუხწევია ჩემს წინაპარს იმ ჭაპანიდამ, იმ უღლიდამ, რომელსაც ხალხი ეწევა, ხელი ალარ შეუშველებია მისი მძიმე ტვირთისათვის, არ შეუმსუბუქებია იგი; ეს გარეზოება ლრმად ჩასკდევია ხალხს გულში, შვილითი შვილად გადასცემია და ნაყოფს მე ვიგემებ. აი, თეკლე საყვარელია სოულისათვის, თვალში რომ ჩაუვარდეს სოფელს, ხელს არ ამოისმენ ამოსალებად, მაგრამ რაღაც აკლიათ ერთმანეთში, თეკლე თავის გულას სიმებს ვერ გადააბამს ხალხის გულის სიმებთან და ვერ გადააბამს იმიტომ, რომ თეკლე ჩემზედ უფრო უხერხულს მდგომარეობაშია: ის თავადის ასულია, თუმცა ძალიან ღარიბის, მაგრამ მაინც თავადისა. ხალხი გაჰყვება მხოლოდ თვის პირმშო შვილსა... აი, ჩემმა ჭკვიანმა პეტრემ, ჩემმა სანატრელ?ა მოწაფემ, ჩემი ადგილი რომ დაიჭიროს, მაშინ იმას ხალხი ჩახედებს თავისს გულში, თვითაც პეტრეს გულში ჩაიხედავს, მათი გულის სიმები გადიბმის სიყვარული და ერთობა ნდობით შეიმოსება და ხალხი აღდგომის გზას დაადგება, ჩემიც სჯერა, სწამს ჩემი თვისდამი სიკეთე, მაგრამ ცალყბივ ემო-

რჩილება ჩემს რწმენას, ჩემს აზრებს; თვისი ლვიძლი შვილი-კი სულ სხვაა, მხოლოდ იგი მოსწმენდს მას ცრემლებსა... ეს არის ჩემი ექვსი წლის დაკვირვების შედეგი.

მათე გარედგან შემოსმენილმა ხმაურობამ გამოარკვია ფიქრებიდამ; წამოიკუხა შალი და ფანჯარასთან მიღდგა. ხალხი ჯარად მიზდევდა თეკლეს შკოლისაკენ, რომელიც მათეს ერთად ერთს ოთახს ეკრა; ბავშვები, რომელთაც ბზის ტოტები ჰქონდათ ჩარკობილი ქუდებში, წინ მიუხტოდნენ თეკლესა

— მაინც უნაყოფოდ არ დარჩება შენგან ნატვირთვი ჯვარი ქრისტესი... შენ, და მხოლოდ შენ, ჩემო თეკლე, შემაძლებინე ამ ექვ'ის წლის განმავლობაში მაგ ჯვარის ტარება: შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ათა!ი სხვა ვაი-უშველებელი, ჩემს თავზედ რისხვად მოვლენილი, შენ შემიმსუბუქე. შეგეტკე მე; შენ ჩემი მფარველი ანგელოზი იყავი; მიყვარდი პლატონიურად... თუმცა, როგორც კაცი, ხანდისხან მხეცი ამეცუდებოდა თვალწინ, ჩემის გულის სიმებს ვნებათა ლელვის კვნესა-ოხვრას ჩამოაუდერებდა ხოლმე, მაგრამ მეორე გვარი სიყვარული მუდამ სჭარბობდა გრძნობათა ბობოქრობასა.. რად არს კაცი ისე მოქსოვილი ასე შენათხზი, რომ ერთს გრძნობას, გრძნობას წმინდას ვერ დასდგომია უთუოდ უნდა მხეციც აეყუდოს წინ... იქნება იმიტომ განმტკიცდა ჩემში

თეკლესადმი პლატონიური სიყვარული შხოლოდ, რომ ჩემს და მოს შეა ზღვარი სდევს? მე მღვდლის ჭივილი, იგი თავადის ასული... სიღდამ სადაო!.. თუ ჩემი გული თეკლეზე ამბობს; „საიღდამ სადაო„.. ხალხიც ამას გეუბნება, როდესაც ვასწავებთ: „ყველა კარგი, მაგრამ საიღდამ სადაო“!.. რა მწარეა, როცა ხალხს ემა ახურები, გისთვის კვდები და მის გულში შენდამი ნდობა მკვიდრად არ ინერგება... ოქ, აზრები მერევა... ჩუ!..

თეკლეს ხმამ მეორე ოთხიღდამ მათე სმენად ჯრდაქცია. ოთახში შხოლოდ თეკლეს ხმა გაისმის, წკრიალებს იგი, როგორც წმინდა გაუბზარავი ზარი: ხალხი სულგანაბული უსმენს; მათემაც ყური მიუგდო, სმენად გადაიქცა. მაგრამ მალე თავში კვლად აზრები აუფორიაქდა; კვლავ ჭმუნვას მიეცა. უცებ შოტრიალ და შაცხოვრის ხატისაკენ აცი-მცრმებული თვალები გიაპყრო მას და წარმოსთქვა:

— მიყვარს მე თეკლე, მრყვარს, მიყვარს დიდად!...

გაპყრობილი ხელები ნელ-ნელა დაუშვა, თვალე-ზე ჩამოიფარა, ორთავ ნიდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და კვალად ფიქრს მიეცა.

II

გარედ ბელურეების ერიალი ისმის; ტოლი ტოლს დაეძებს, ბუდეებს სდგამენ, ფაციფუცობენ, ცხოვრებას ეშურებიან.

ხალხიც ურიამულობს: დიდის ამბით ემზადება

ქრისტეს აღდგომის შესახვდერად; სულის სისწრაფი
მოელიან დალამებ-გათენებასა.

სკოლის ოთახში მასწავლებელი მათე წ.
თავის ნაამაგლარის მაგიდის წინ. სახე გასიფრიფა-
ნავებია, ნესტოდამ ნესტოში სინათლე გაზღის. გარს
ახვევიან განუშორებელნი მეგობარნი: თეკლე თე-
ღო და პეტრე.

—რაღ მაღვია ენაზედ სულ ლექსი გრიგოლისა.
„ცისკარიმამ აღმოსავლეთი ვარდის ფერად შე-
სცვალა.. ალარ ძალმიძს განაგრძობდა.. პეტრე, აბა
მითხარი ეგ ლექსი და დამატებე... აი ბელურები
როგორ ცელქობენ და შეპხარიან დილასა, ჩვენც
ჩავებათ ამ საერთო ფერხულში!.. ჰო, ეგრე ჩემო
პეტრე, ეგრე!.. ხომ გახსოვს დავით გურამიშვილის
ანდერძი: „სწავლა სიკვდილამდე შენია, ვერავინ
წაგართმევსო... ისწავლე, მხოლოდ ეგ არის დღეს
ჩვენი მხსნელი... რა სიტყვებია:

„ვიშ ამ დილა! ამ ჰაერს,

ბუნების განმაცხოველსა,

გულისა კმუნვის გამქარველს,

სიცოცხლის დამატებობელსა!..

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,

მის ფერ-უთვალავს შვენებას?..

სიბნელეს აქრობ ნათელით.

სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!“

ღრმა აზრია ამ სიტყვებში; კვლება ერთი და მის

აზრებზე ლორძინდება მეორე; წინა კაცი უკანისა ხილია; წინა კვდება და უკანა მისა სიკვდილით აღ-
'დგინდება.. მე მოვკვდები, მაგრამ აღმადგენს პეტრე
და... კეთილი სიტყვა, კეთილი მოძღვრება ხალ-
ხის გულში იმაჩენა, კვდება მაჲში, შეზღვევა ფეხს
იდგამს, აღსდგება და ხალხს მოეფინება მადლი იმ
აღდგომისა. მე თუ შევძელ ესეთი სამარაზე
ხალხისადმი, მშვიდობით მოვკვდები, უდარდელად
დავლევ მოსწრაფებულს, საკვდალის კარზე მიმ-
დგარს სუცოცხლესა...

— რა დროს სიკვდილზედ ლაპარაკია, ჯერ ჩვენ
სიცოცხლით სავსენი ვართ; ჯერ ჩვენ სავსებით არ
შეგვისრულებია ხალხისადმი სამსახური: ნატვირთი
ჯვარი ჯერ ნახევარ გზაზედაც არ მიგვიტანია;
ვულს ნუ გაიტეხ, მათე, მოჩჩება, განახლდები და
ახალის ძალით ორთავ ერთად შეუდგებით ხალხის
სამსახურსა: ვთესოთ თესლი კეთილი.

— შენ-კი, მაგრამ ჩემი სუცოცხლის ჭრაქი ოდ-
ნავ-და ბეუტავს, პატრუქი აღარ აქვს... „ერთად
ვეწიოთ უღელსო“ გაღმოხედა მათემ, ხელი გამო-
ართვა თეკლეს გულზე დაიდო და ალერსით უჩხრა:
რას ნიშნავენ ეგ შენი სატყვები: „ახალის ძალით
ორთავ ერთად შეუდგეთ ხალხის სამსახურსა...
დამანახვე თვალები, შენი... შენი ლმობერი თვა-
ლები... ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია, არ მამე-
ნია არა ვისაგან ეგრეთი სანუგეშებელი სიტყვები.

შაგ სიტყვებმა გაათბო ჩემი გული, ძარღვებში გაყინული სისხლი ამიჩუხხეხა და მჩქეფრად იწყო დენა, სიკვდილი წამსვე მომშორდა თვალთაგან.. თეკლე!.. მე მიყვარხარ..

მათე აღელდა, გულმა ქშენა დაუწყო, თეკლე ხელი მისმა ხელმა უნდბლიერ გაუშვა, მკლავები აქეთ იქით გადაეყარა..

— მეც ვზღდიდი ჩემს გულში შენჯამი სიყვარულსა; ჯერ პატივისცემის სამოსელში იყო იგი შებურვილი: იზარდა და გადაიქცა შენდამი პლატონიურ სიყვარულად... კვლავ იზარდა იგი და ბოლოს ჩემმა გულმა შენ ტოლად აგირჩია. წყნარად და ნაზად ჩაელაპარაკა თეკლე ავადმყოფს, მისი სარეცელის წინ დაიჩოქა და თავი გულზე დაადო, და აი...

— და აი ღმერთმა აღარ გვაცალა... მე ამ სენს ველარ გადაუვრჩები... მხოლოდ ერთი ნუგეში მიძღვს თან: შენი სიყვარული, შენი თანაგრძნობა: ეხლა უშიშრად შევხედავ სიკვდილსა მე შკვდარა შენს გულში ცოცხლად დავრჩები.. ეს გულუბრუვილო, უმანკო კოცნა იყოს ნიშნად ჩვენის დაწინდებისა.

მათე და თეკლე ერთხანს იყვნენ ჩაწმახვნილნი და მათმა ბაგებ წმინდა ამბორის ხმა გამოსცა.

კვირა ძალია; ლამე გატყდა; მახლობელი საყდრია დამ მოისმის ხალხის ზრიალი.

— ხალხი მხიარულებს; აღსდგება მათთვის ტან-
ული ქრისტე და მოპფენს სიხარულსა; ბჟენი
ჩჯოხეთისანი შეირყევიან, ეშმაკი დაითრგუნება
» შხოლოდ მაშინ ჩამოვარდება მშვიდობა და კა-
თა შორის სათნოება, დაუწყო ლაპარაკი მათემ
ეყლეს, რომელიც მის სარეცელს აღარ შორდე-
ოდა.

სიყვარული ბრმა არისო, ამბობს ხალხი: } თეკლე
ერ გრძნობდა, რომ მათე ჰქონებოდა; გათეც აღა-
ა გრძნობდა სენის ძლიერებას და სიკვდილზე ფი-
რი გადაუვარდა.

ვაისმა ზარის ხმა. ხალხმა ზრიალი დაიწყო. ხმა
რიალისა მოდიოდა მათეს ოთახამდე.

ზარის ხმას მოპყვა ღალადი მღვდლისა: „ქრისტე
ღსდგა და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო!...
— ქრისტე აღსდგა! უთხრა გრძნობით მათემ
ეყლეს.

— კეშმარიტად! უპასუხა თეკლემ. მოეჭდნენ
რომანეთს და ტუჩი ტუჩი მიაწებეს.

— ოჰ, ოჰ, გული, გული!.. აღელვებისგან გულ
ალეულმა მათემ იტაცა გულზე ხელი და მაგრა
ლუჭირა მას. მრწამს აღდგომა ხალხისა, იგი აღ-
დგება შენისთანა თავ-დადებულის მუშაკების მეო-
ებით... იარე ჩემებრ ეკლიანის გზით... არ არის
კუდარი, ვინც ხალხს შესწირავს თავსა... ოჰ!..
ზიაღ მწამს... აღდგება ხალხი და განაბნევს მტერ-

სა თვისსა... მე შხოლოდ დასაწყისსა ვხედავ... ბე-
ლნიერი ხარ, ჩემო თეკლე... აღის ნება ძიელ გვი-
ან მოვიპოვე: ჩემო თეკლე მეთქი; ბელნიერი ხარ,
რომ იხილავ ხალხის წინ სვლასა... მე მხოლოდ
ისიც მეყოფა, თუ მოშიგონებ კიდევ და ამ ჩემს
უკანასკნელს ანდერძს შემისრულებ... .

თეკლემ მიიჩიქა სარეცლის წინ, ხელი დაუჭირა
და უთხრა: — მტკუცედ შეგისრულებ ანდერძსა...
მაგრამ რას ვამბობ... .

არა, სწორედ ამბობ: შემისრულებ, რადგან ჩემი
ვარსკვლევი საცაა მოსწყდება... აი მაცხოვარი იყოს
მოწმე ჩვენი... ჩემი ანდერძი: „საფლავში ჩამომა-
ხე ჩემი ხალხის აღდგომა“..

! მათემ მშვიდობით მიიძინა და განუტევა ტანჯული
სული... .

თეკლე გულზე დაწყობნო და უმანკო ცრემლით
დაულიბო დამწვარი გული..

გ ე ლ ი ა

(ზღაპარი)

ემს მეულიას ცოტა რამ მზგავსება აქვს სულხან სა-ორბელიანის გელიასთან, მაგრამ განსხვავებაცაა შორის. სულხანის მეულია იერუსალიმს მიდიოდა რის საცხონებლად, გჩაზე ლილით სავსე ქვევრ-ჩავარდა და სულ ერთიან ლილის ფრად შეი-ა.

1 მეულია-კი ბუნებითვე შავი გახლდათ...

დიალ, იყო და არა იყო-რა ლვთის უკეთესი რა-იქნებოდა, რყო ერთი ავი და შავი მეულია. ისე-ი შედი იყო, ისეთი შავი, როგორც ყურტი; წე-რე ბზინავდა, როგორც გიშერი. ყველას ენატ-პოლა მისი ტყავი, განსაკუთრებით დიდ ბობო-ებს მოსწონდათ: „ნეტავი მაგის ტყავი ჩემი პალ-ას საყელოდ მამცაო, ამბობდა ერთი.“ იჭ, ნე-ვი, თქვენი სრუოცხლით, ჩემ მაშინკას მისცა არატნიკადაო“. ძალიან ცდილობდენ შავი მე-ასათვინ ტყავი გაეძროთ, მაგრამ მეულია რის ლიაა, თუ იგრე ადვილად გააძრობინებდა ვისმეს ვისს ტყავსა. ლვთის წინაშე ბეწვებს-კი აძრობდენ ძრმე; თუმცა-კი ემწვავებოდა, მაგრამ მოთმინებას ვი არ ასტკივაო, იტყოდა ხოლმე მეულია და პყვებოდა კვალად მხეცებში ცუნცულსა და კუ-ს ქნევასა.

გაუვარდა მელიას კუუის სახელი და სპილომ, რო-
მელიც ერისთავად იჯდა ერთს უდაბურს ტყეში,
ქათმებისა და ცხვრების უფროსობა ჩააბარა. თუ
მცა ცხვრებს მინამდე მგელი უფროსობდა, მაგრამ
იგი მხოლოდ მარტო ტყავს აძრობდა და ცხვრების
სულს-კი არას ერჩოდა.

— აბა, ჩემო მელია, შენი ამზავი ცის კიდიდამ
კიდემდე გაისმის, ყურები გამომიჭედეს, დიდი გუ-
ლომისანი, დიდი კუდიანი არისო...

კუდიანი-კი ძალიან გახლავარ: ჩემი კუდი სწორედ
ეზოს ცოცხა ჰგავს...

— ააა, მასხარაც ყოფილხარ! კარგია, კარგი!
ხანდისხან კიდეც გამართობ!.. ი, ჩემო მელია,
დღეიდამ შენ გნიშნაშ მოურავად ქათმებისა... ე ი.
ყველა ფრთოსანთა მოურავად...

— ვვა! მწ, მწ!.. მელიას მოაყოლა ძაგძაგი.
პირი ნერწყვით აევსო, სიტყვები ტუჩზე შეახმა და
შორისდებულებით იწყო სიამოვნების გამოოქმა.

— ჰაი, შე თავლაფიანო! მაინც შენმა ბუნებამ
თავი იჩინა... სჭამე რამდენიც განდა, მაგრამ... ჰო,
იმას ვამბობდი: გაბარებ ყველა ფრთოსანთა მო-
ურაობას და აგრეთვე თხა ცხვართა მოურაობასაც
— მეჯავრება მე ამ ტყის ფრთოსანთა სხვა-და
სხვა წმაზედ ყივილ კაკან ხავილი, ცხვართა ბლა-
ვილი, თხათა კიკინი. მგელი მყავდა მოურავად, მა-
გრამ ის მხოლოდ ერთს ტყავს აძრობდა, შენ-კი ორი

ენდა გააძრო, ორად-ორი, მეტს არას მოგ-იხოვ... ჰო, თავი და თავი კინალამ დამავიწყდა: ენდა ასწავლო მელური ხავილი.

— თქვე დალოცვილო, პირმეტყველებისათვის კი ჩავლჯერ მისწავლებია მელური ხავილი, მაგრამ პირუტყვებს რავა ვასწავლო.

— სუს!! ხმა ჩაიკინდე! ურჩობასაც მიბედამ? დაუყვირა სპილომ და მელია ხორთუმით ჰაერში ააბროწიალა.

მელია შეშინდა, ხავილს წკმუტუნიც მიაყოლა, ევედრა, არ გადმომანარცხო მაგ სიმაღლიდან, იყოს ნება თქვენიო. როდესაც მელია ზეცით ხმელეთზე ჩამოეშვა და ხორთუმის ჭახრაკიდამ თავი იხსნა, დაეცა სპილოს ფეხ-ქვეშ, სულ მთლიად გალოკა და მოწიწებით უთხრა: ნუ მომკლავ უდროვოდ, თქვნია მზესა; გებრალებოდეს ჩემი წვრილი კოლ-შვილი. იყვნ ნება შენი; მზად ვარ შევასრულო იგი.

შეუდგა შავი მელია თვის საქმესა.

მამლებს სიცილად არ ეყოთ, ბატებმა სისინტემატეს, ინდოურები საშინლად აიფხორნენ; თხამ უარესათ მორთო კიკინი. მხლოდ ცხვრები არც აქვთ იყვნენ, არც იქით.

ერთხელ მელას წიწილ-კრუხი შაეყარნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხავოდა. მოეპარა ერთი უშველებელი მამალი და ისეთი ჩაჰყივლა მელიას უურში, რომ ყურის აფსკა გაუსკდა და, ის იყო და

ის, ცალიაურით დაყრიცვდნა. წიწილ კრუხმა ნაცნო
ბი ხშა რომ გაიგონეს, გაშალეს პაჭა ფრთები, იფ
რინეს და მ.მალს გარს შემოეხვივნენ.

იწყინა მელიამ, იწყინა ეს აშბავი და საჩივრია
მიჰმართა ტყის ერისთავსა. ერისთავმა ცეცხლი გა
დაიყრა თავზედ.

— მაგ ტყავს გაგხდი და შენის თვალით გაცქა
რინებ, თივით როგორ გავტენ... არა, მავსტყუვდი..
შენ მხოლოდ გელიას სახე გადევს, მისი უნარი-ე
ღმერთს არ მოუცია.

— მაშ რა მექნა, დადო ბატონო, თუ საჩივარი
არ მომერთმია... მე განგიცხადეთ მათი ურჩიბა და
რომ მე იმათ თავხედობას არ შევარჩენ, ამას მალე
დაგიმტკიცებ.

— აპაა, შეიბი ეს საყელო, რომ სხვა მელიებია
საგან ერჩეოდე. გასწი, გაფრინდი, უკან აღარ შოთ
ხედო და ჩემი ბრძანება მყისვე მოიყვანე აღსრულე
ბაში.

მოსძურწა მელიამ; კუდი მხარზე გაიდო და გა-
რბის ტყისაკენ, გარბის, რაც ძალი და ღონე აქვს.

წინ შეეხება თხა-ცხვრის ფარა. ციკანბატკენები
ხეს ფოთლებს ეპოტინებოდნენ, ხტოდნენ; - წავარ-
დობდნენ. ბოტი თხა, ბელადი ფარასი, თავს იქნე-
ნდა, წვერს აცანცარებდა.

მოცუნცულდა შავი მელია, წინ გადუგორდ
ბოტსა, კუდი ამოუფაჩუნა ლაბაბში. ბოტს კუდის

ცაცუნი ეუცხოვა, უკან გადგა, რქები მოიმარჯვა. მელია წამოხტა, დახავლა. ციკან-ბატქნებს ეს ხმა ჟუცხოვათ, საზარელი ბლავილი მორთეს.

ბოტმა ფეხები დააბაკუნა; ურქინა, ერკემალსაც გული მოეცა; დაპკრეს ნალარა, ეცნენ მელიას და რქებზედ ააცვეს.

მელიას ტყავი თვით გატენეს და მაღლა თხევ-ლაზე ჩამოჰკიდეს. დღე მუდამ ქათმები ასხედან ზედ, ჰყორტნან ტყავსა; ბატები და აფხორილი ინდო-ურები ზემოდამ შეჰკირკიტებენ.

ბევრი ეძიეს მელია, ბოლოს თაყელოზე იცნეს, მიწას მიაბარეს და ქვაზე წააწერეს:

შ ვა, შენ, ჩემო მელია,

შ არ გამოგადგა ბრიკია!!

შ

ო ჭირი—იქ დაფაგდე,

ლხინი აქ მოვიტანე;

ნაცარი იქ დავყარე,

ფქვილი აქ მოვიტანე.

ო

ს. მელიშვილი

„და უეპვიცეს“

(გლეხთა ცხოვრებიდან)

III

ერთ ზაფხულის დილით უჩვეულებრივო მოძრაობა
იყო სოფელ ნაკედლარში. ბუნებაც უჩვეულებრივოა;
იცქირებოდა: მზეს თითქმ სხივი კვლავანდებულზე
მეტად გაბრწყინვებიყო, ფრინველნი მთლად ჭიკ-
ჭიკ გალობად გადაქცეულიყვნენ, თითქოს იმ დღეს
იმათ სხვა საზრუნი არა ჰქონდათ-რა. ხალხით სავსე
იყო დიდი, გადაფენილი ეზო, დაჩრდილული მუხის
ხეებითა, ეზოს შეუალაგას ბუნებით ამაღლებული
იყო ერთი ადგილი, თითქოს განგებ კათერა გა-
უკეთებიათო. შეკრებილ ხალხს ზიმზიმი და ზრიალი
გაჰქონდა, ასდევ-ჩასდევდა ერთ ახალგაზდა კაცია,
თვალით ზომავდა იმას და რაღასაც გამოელოდა
მისებან. ზაფხულის დილას არც ის ახალგაზდა კაცი
ჩამოუვარდებოდა სიტურთითა: ის იყო მაღალი
წერწეტი, ბეჭებში გადგმულ-განიერი, სახე ახლად
ჰქონდა შემოსილი გაზაფხულის მდელოსავით.
ახალგაზდას მოუსვენრობა ეტყობოდა, სახე აბუსუსე-
ბოდა, მისდი-მოსდიოდა. გვერდიდან არა შორდე-
ბოდა ძალი, რომელიც მას პირში შესცაცქანე-
ბდა. ახალგაზდაც წყნარად ხელს უსვამდა თავის
მეგობარს თავზე, მეგობარიც ალერს იფერებდა.

ეს ახალგაზდა იყო მუშა ილიკო; ნაკედლარელი
ვლეხი, ლუკა მშვერიძის პირმშო შვილი.
ილიკო უცებ შესდგა ბუნებისაგან განმზადებულს

ჰალლობზე, ირემივით მოიყარყარა კისერი და გლე-
ებით გაზიმზიმებულ ეზოს თვალი მიავლ-მოავლო.
! — სუ-უ! სუ-უ-უ! ხალხნო!... გაისმა ერთხმივი
ზრიალი ხალხში და ყველამ, როგორც ერთმა კა-
ცმა, გაქმინდა სული.

— დღეს მე იესოს სიტყვებით დავიწყობ ბაასსა.
ჰაშ სმენა იყოს და გაგონება: „ნეტარ ხართ
თქვენ, რომელთა გშიათ აწ, რამეთუ განსძლეთ;
ნეტარ ხართ, რომელნი სტირით აწ, რამეთუ იცი-
ნოდეთ“... ამხანაგებო, ვიცი, ბევრჯელ გსმენიათ
საყდარში ეს სიტყვები იესოსი მაგრამ თქვენს გულს არ
მოხვედრია არ უნუგეშებია დღემდე თქვენი დაწყლუ-
ლებული გული და შეწუხებული სული. დღეს გვ-
შიან ჩვენ, ვტირით და ვვაებთ იმიტომა, რომ ყო-
ველივე წართმეული გვაქვს, ჩვენ ვმუშაობთ. ოფ-
ლს და სისხლს მიწას ვაწვიმებთ, სხვა კი ჩვენს ნა-
მუშავარს იმკის, სხვას მიაქვს; აბა მიიხედ-მოიხედეთ—
რას არ ვამზადებთ, ყველაფერი ჩვენგან არის გა-
მზადებული, სხვა კი ძლება, სუქდება, მადლობისა
და შეწყალების მაგივრად, გვლანძლავენ, გვაგინე
ბენ, ცხვირში ძმარს გვადენენ. ყოველივე ეს ჩვენი
ჭალაჩუნობის ბრალია. გამოცდილებით ვიცით,
რომ ყველა პირუტყვი ყველა მწერი, სულ პაწაწინა
კიანჭველაც კი, ამხედრდება იმის წინააღმდეგ. ვინც
იმას ხელს შეუშლის, ყველა რამეს მოიმარჯვებს
პიროვნების დასცველად. აი ძალლი, ჩემი ბროლია,

რომელიც ფეხთან მიწევს; იგი ჩემი ერთგულია, ჩე-
მი მონაა დღეს, მაგრამ ისიც კი შემომიღრენს, კბი-
ლებს დამიღრენს, როცა უსამართლოდ ვეკიდები
ხოლმე... ჩვენ კი, როცა გვაწამებენ, როცა პირ-
ში გვაგინებენ, როცა ცხვირში ძარს გვადენენ,
ფეხ-ქვეშ ვუცვივით ჩვენს მტარვალებს, ხელფეხს
ვულოკავთ, რა არას, არ ჩამოგვართოს მიწა, ის
მიწა, რომელიც ჩვენია, ხალხისაა და არა რომე-
ლიმე კაცისა. მრვბაძოთ პირუტყვებს, ხელი შევუ-
ბრუნოთ მტარვალებს, გვეყო შიმშილი, ახლა გან-
ვსძლეთ სულითაც და გულითაც; გვეყო ტარილი,
ახლა ვიშგათ, ვიხაროთ სულითა და ხორცითა. შიმ-
შილს გაძლომა მოსდევს, ტირილს მხიარულობა,
ორთავეს—შიმშილსა და ტირილსაც ჩვენვე უნდა
ვუწამლოთ. იძდლეს გიამბეთ, სხვა ხალხებსაც ჩვე-
ნსავით შიებიათ, ჩვენსავით უტირნათ, მაგრამ თა-
ვისი წყლულსათვს თვითვე უექიმნიათ, ჭირი მოუ-
შორებიათ და შვებას მისცემიან. ერთიბის ძალა
ძრიელია, მაშ შევერთდეთ და მოვიპოვოთ შვება
სულისა...

— გაუმარჯოს ერთობას!... დედაც შერთვია ცო-
ლადა, ვინც ულალატოს ერთობას! დაიზრაალ,
ხალხმა და გაქნდა-გამოქანდა.

— აი ერთი მაგალითიც: აი რას გვასწავლის ზღაპარი
ერთობის შესახებ: იყო ერთი მეფე, ცხრა ვაჟი
შვილი ჰყავდა; სიკვდილის უამს დაუძახა შვილებსა.

ერთობით და თანხმობით იყავითო ეს არის ჩემი
ანდეტაძიო. მოატანინა ორი კონა მშვილდ-ისრისა.
ცხრა მშილდ-ისარი ცალცალკე დაამტვრია. მერე
შოსწია ერთი კონად შეკრული ცხრა მშვილდ-ისარი,
ჩგრამ ვერ გასტეხა, საძრაობაც ვერ უყო. თუ
დაიქსაქსებით და ერთობა არ გექნებათ, მტერი ასე.
აღვ-ლათ დაგძლევთ და დაგამსხვრევთ, როგორც მე
ავადმყოფმა და მოხუცმა, აღვილად დავამტვრიეცალ-
ცალკე მშვილდ-ისრებიო; უკეთუ ერთად იქნებით,
ერთობით გაიმსჭვალებით, მტერი ვერას დაგაკლე-
ბი, ვერ გაგტეხსთ, როგორც მე ერთად შეკრულს
ცხრა მშვილდ-ისარს ვერა დავაკლერა, -- უთხრა
მაამ შველებსა. ჩვენც ასრე უნდა მოვიქცეთ:
უნდა ჩვენ ყველანი, მთლად ყველა სოფლები გადა-
ვაბათ ერთობის ჯაჭვითა, მაშინ ვერაფერი ვერ
დაგძლევს. მართალია, არ დაგიმალავთ, ეს ერთო-
ბი ბევრს ჩვენგანს შეიწიჩავს, ბევრისაგან ბევრი
უმანკო სიხლი დაიღვრება, მაგრამ გამარჯვება ჩვე-
ნია, ბრძოლას ველიდგან ბოლოს და ბოლოს ბევ-
რისაგან ბევრს გავატანთ.. ამხანაგებო! ლმერთს არ
გაუჩენია არც ბატონი, არც ყმა, არც მონა, არც
ჭიდარი და არც ღარიბი. ყველა ეს ჩვენი გა-
ნენილია, ყველა ეს ჩვენი უგუნურობის ნაშობია...
შიწა, აი ეს დედამიწა, ჩვენი სისხლითა და ოფლია-
შორწყული, არავის საკუთრებად არ გაჩენილა, ამა
ერთი ვინმე ბატონ-პატრონად არ ჰყოლია; იკი

ჩვენისავე უგუნურობით რამდენისამე ხელში ჩავა
რდნილა. მიწა იმისია, ვინც იმას ამჟავებს, ვისაც
იმაში ოფლი და სისხლი უწვიმებია და ასე უნკე
ყოფიერებია იგი... მაშ მიწა ხალხისაა, საერთოა!..
მაგრამ რას ვაქნევთ, ამხანაგებო, ცარიელ-ტარიელ
მიწას, თუ თავით კაჩხაზე ყაზახის მარახი გვეკი
დება, თუ ბატონის ჩიბუხი კვლავ კბილებს ჩაგვა-
მტვრევს, თუ კვლავ ჩვენი სული და გული მარ-
წუხებში იქნება გათანგული!... მაშ მიწასთან თა-
ვისუფლებაც უნდა, რომ ხალხმა ფრთა გაშალოს...
მაშ ამხანაგებო, მიწა და თავისუფლება!...

— ოი, დიდხანს ალაპრაკოს ეგრე ტკბილათ შენი
ენა-პირი ჩვენმა მღვთის მშობელმა!. ალაპყრეს ხე.
ლი მანდილოსნებმა და ლალადით წარმოსთქვეს.

— გაუმარჯოს მიწას და თავისუფლებას! და-
სძახეს ერთხმად და ხალხის ხმას მთა-ბარმა ბანი მისცა.

— მოვიპოვებთ მიწას და თავისუფლებას, განა-
გრძო კვლავ ილიკომ, — მოვიპოვებთ შვებას,
სიცოცხლეს, სიხარულსა, მოვრჩებით ტირილსა და
ვა-უშველებელსა... მაშ „ნეტარ ხართ თქვენ,
რომელთა გშიის აწ, რამეთუ განსძლეთ; ნეტარ
ხართ, რომელნი სტირით აწ რამეთუ იცინოდეთ!“

ხალხი აზრიალდა და დაუსრულებელი „ვაშა“ გაისმა

— მაცხოვარს ეგრე არ უქადაგნია, დაიბლვრიალა
ჩასუქებულმა სოფლის ჭამია ისაკამ, რომელ საც
ულვაშის ლერები სითამამ-სისუქნით ყირას შეს-

დგომოდა...

— იქადაგა კიდეც და ამისათვის შენისთანა წუ-
ჩალებისაგან ჯვარსაც ეცვა... ჩვნც ჯვარს ვეცმით
და სისხლით მოვიპოვებთ შვებასა! შესძახა ხალხმა.

— ის დალოცვილი ქრისტე, ერთი კიდევ გა-
მოჩნდეს ქვეყნად და აჩვენოს თავის ძალა. გულ-
ამოსკვნით სთქვა ბებერმა გლეხმა და ჩოხის კალ-
თით ულფაშები გადაიწმინდა.

— ეჲ ნათლი! ჯვარზე გაკურა არ ეყო ი ქრის-
ტესა, რო ეხლა ყაზახის მათრახით არ ააჭრელონ!...
შენ გგონია, ღმერთს კი არა სცემენ ეგ მხეცები!?!...
ურჯულო კაცისათვის არც ღმერთია, არც სამარ-
თალი: ბავშვები რა დასახოცია, რო უვლეტვენ.
უწინ თურმე უსჯულოები ჩვნს ბავშვებს ძნად შლი-
ღნენ კალოში და ზედ კევრს ატარებდნენ. ეხლა
კი ცხენს ქვეშ ლეწავენ.

მართალი ხარ, შვილო მართალი!... ქრისტე რომ
მოვიდეს, ის წყუული ყაზახები სწორედ კაი დღეს არ
დააყრიან!.. შეგცოდე, მაცხოვარო, შეგცოდე, რომ
ასე ულირსად გახსენე. თავის ქანაობით ჩაილაპა-
რაკა ბებერმა გლეხმა.

* — ამხანაგებო! ჩასუქებულ ისაკას და მისთანებს
მე იქსოს სიტყვებით გამოველაპარაკები: ვაი თქვე-
ნდა, გამძლარნო აწ, რამეთუ გშიოდეს; ვაი თქვე-
ნდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იმლოვდეთ
და „სტიროდეთ“. აი თქვენზეა ეს ნათქვა?ი. მდიდა-

რნო და ფუფუნებაში აღზღიულნო, თქვენ ნებით არ დაემორჩილებით ერთობის ძალას, ამიერიდგან და-დგა დრო თქვენის სიმშალისა, თქვენის გლოვასა და ტირილასა; იგემეთ, როგორია სიმშილი რო-გორია შრომა, როგორია სისხლის ცრემლით ტ-რილი.

ილიკო ასე სოფლათ-სოფლად დადიოდა თავის ბროლიათი, მოედო სოფლებს ახალა მოძღვრება, მიძინებულმა დევმა გაილვაძა, შეკრულ-შებოჭილმა აშირანმა ხელები ითათა და აი თავის ახს ით-ხოვს....

მაგრამ ილიკოს თან იუდაც სდევდა,...

II

მზე და მთვარე კვლავინდებურად ყველას ეჩთნა-ირად, განურჩეულად ჰუენდნენ სხივებს... „ვარდთა და ნეხვთა მზე სწორედ მოეფინების“, ნაჟვამია... მიწიერ მტარვალთ ხელი ვერ მიუწვდებათ, თო-რემ მზე'აც და ყველა ციურ მნათობთა ამ დიდე-ბულ თვისებას წაართმევდენ...,

დიალ, მზე სწორედ ეფინა მთელს ნაკედლარს; ლუკა მშველიძის სახელიც ბრწყანავდა მზის სხივე-ბით გარშემორტყმული. იმდღეს ყველა ჩვეულებრი-შეპა მიესალმა დილასა. ილიკოს ბროლია წელში გაიჭიმ-გაიზორა, მეგობართან მოიკრა, ხელები დაულოკა და თავრთ ბუჩაობა დაუწყო. ის-ისიც ილიკო წასასვლელათ ემზადებოდა, ბროლი:მ, ალ-

ო առլո, օմա, წკმუტუნს թուզա და კუდის ქი-
յნს շմატა.

, թագრამ იუდა շամს ეძიებდა....

Ցრոლიამ ილიკოსთან ალექს ანგბა თავი, ანა-
ხდეულათ შეტრიალდა, სხვარამ ალლო առլո,
ასარივით გავარდა ეზოდან და ვიღასაც საზტროთ
|მიუყეფა....

უცებ იგრიალა თოფებმა და ილიკო ოთხი
ტყვიით განგმირული. უსულოთ დაეშვა იმ ადგი-
ოს, სიღამაც ხალხს ერთობის სიტყვებს უსხნადა.,

მზემ ამდროს უდალატა თავის თვისებასა, თი-
რქო შებნელდა სხვა მხრასაკენ და აქეთ შარავან-
დედით დაადგა ილიკოს თვისი სხივები და მერე
ცის-სარტყელათ შემოერტყა იმის უსულო გვამსა....

ილიკოს-კა სიმწარის ცრებლი ეღვენთებოდა
რია თვალებიდან....

აհ გასულა ხუთი წუთი თოფის გავარდნის შე-
ცეგ და ძლიერი ცეცხლი მოედვა ლუკა შველი-
ის სახლ-კარს. ცეცხლმა ჩანთქა თელი არე-მარე,
გადაჩა ლობე, რომლის მარგილებზე ორი ქილა
იყო პირქვე ჩამომარბილი. სტრაუნიკებმა ილიკოს
თავი გვამს მოაშორეს, ქილებთან ისიც ჩამოაცვეს
ჩარგილზე. [1]

მტარვალები ხარხარებდნენ და ილიკოს თავს და
ქილებს ნიშანზი ესროლნენ.

ბოქაული მაღალდაძე ტაშს უკრავდა და ვ. ზამ
დასძახოდა!....

II

იმ ლობესთან, რომლის ერთ მარგილზე ჩამო. ცმული იყო ილიკოს თავი, ყოველ ცისამარა დღე ატუზული იყო რუსულ ფარაჯაში გამოხვეული კაცი; იგი ქანდაკებას ჰგავდა: ხელში დიდი და მსხვილი ჯოხი ეჭირა, ხელება და ნიკაპი დაყრდნობი ჰქონდა ამ ჯოხზე; არავისი არა ესმოდა-რა, გაყრუბუნჯებული და გასალკლდევებული იყო; ბევრი დგომისაგან ხანდისხან ჩუხლები აუცახცახდებოდა და ჩაიკეცებოდა, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით და ფორთხვით კვლავ აღგებოდა, გვერდით მაეუწევებოდა ლობეს და კვლავ ეყრდნობოდა ჯოხსა. თავზე ნაცარი ეყარი, თუ ქარი გადმოუბერტყდა, კვლავ ახალს დაიყრიდა. ენა აღარ ემორჩილებოდა, ყისიმეს გამოლაპარაკებაზე მხოლოდ ლიმილით გასცემდა ხოლმე პასუხსა.

იქვე ახლო იწვა ეზოს ძალლი, ფერდი ფერდი მიჰკროდა, იწვა მკვდარსავ-თ, დაღონებული დაძმარებული, თვალები დაპირპლოდა და ცრემლი სდომდა, ცრემლებს თვალებიდან ცხვირის ნესტებამდე კანი დაელარათ და ნაკადულ ნადენ ადგილს ჰგავდა. ძალლს წრნა ფეხებში ჩაედო ცხვირს პრრი და მალმალ გრინავდა, ხანდისხან ცხვირს გადლა აიღებდა, სუნავდა ჰაერს და საზარელად ლმურდა.

ეს გასალკლდევებული კაცი იყო ლუკა მშველიძე.

ჩოცა პირმშო შვილი მოუკლეს, სახლ-კარი გადუ-
კეს და ცოლი-ნენეც შიგ გამოუხრაკეს, ლუკა შინ
ჭიყო; დაბრუნებისას რა ნახა თავისი უბედურება, ენა
აუგარდა და მუდამ იმ მარგილთან იღვა, რომელზე-
დაც ნიშანში ილიკოს თავი იყო ჩამოცმული და მტა
ჩვალები ნიშანში ესროდნენ თოფსა. ილიკოც აქვე
საფლავია ლუკა მუდამ დღე ჩაპბლუოდა შვილის მიწა-
აკანს და სისხლის ცრემლს აღვენთებდა შვილის საფ-
ლავს ბროლიი ძალლიც არ ჩამორჩა ლუკას მწუხარე-
ბაში: ისიც მწარედ გლოვობდა თავის მეგობარს
ილიკოსა, ისიც დამუნჯდა, აღარ ჰყეფდა, აღარც
წკავწკავებდა, მხოლოდ-ლა ღმუოდა.

ერთს დღეს სოფელმა უცნაური სანახაობა იხი-
ლა: თავდადებულ ილიკოს საფლავზე დიღი ხის ჯვა-
რი იყო ამართული, ლუკას ენა ამოსდგომოდა, გა-
დმოყუდებულიყო ჯვარზე და გატაცებული ლა-
პარაკობდა.

ბროლიაც გამოფხიზლებულიყო, ჩაცუცქული,
ცხვირ მაღლა აღებული თვალებში შესცაცქანებდა
ლუკასა, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს იმის
ცხარე ლაპარაკსა, თითქო ჰსურს ლუკას სიტყვები
არ გამეპაროსო. ბროლიაც კი გრძნობდა, ლუკას
სულში და გულში რა ცეცხლი ტრიალებდა.

მოზღვავდა სიოფელი; ხალხს ზიმზიმი გაუდის. ლუ-
კა სდგას შვილის საფლავზე, ჯვარზე გადმოყუდე-
ბული და გატაცებული იწვევს ხალხს საბრძოლველად

მიწისა და თავის უფლებისათვის.

ბროლიაც ღმურილით კვერს უკრავს.

— უსამართლობამ პირუტყვიც კი აალაპარაკა.
ისც კი ღმურის, მაგრა, ძნარე ღმურლი უფრო სა
გულასხმიეროა ლუკას ლაპარაკზე, გაისმა ერთგნევ

— დედაც შერთვია ცოლათა, ვინც ერთობა
ულალატოს. გარსება მძლავრი ხმა მეორეგნივ: თუ
ენას მოვცემიან, ამოვცეძრობენ, ძალლივით ვიღმურ-
ლოთ, ძალლივით, და თავს კი ნუ დავანებეთ
ბროლასა.

— ხალხნო, დავიჩოქოთ წამებული ამხანაგის
საფლავის წინ; მასი წამებული და ნაგვები თავი,
მისი სისხლით შეღებრლი საფლავი გვავალებს,
არ შევდგეთ და განვაგრძოთ ბრძოლა. მაში შევფრ-
ცოთ ილიკოს გასისხლიანებულს საფლავსა, რომ
იმის აზრებს არ ვუდალატებით და ერთობით ვიქნე-
ბით... წარმოსთქვა ერთმა ახლგაზდა გლეხმა ილი-
კოს საფლავს.
და შეჰვიცეს...



„ უკვდავების შეარმ ვარ!....

მე ცისა და დედა-ბიწის პირმშო შვილი ვარ
დღისით-მზისით დიდებულნი სხივნი მზისანი იკრე-
ფენ ყვავილებრდან, მინდორ-ველიდან, ამაოროქ-
ლებენ; მოვფრინავ უჩინრად მალლა-მალლა დავი-
ჩქმალები ცის სივრცეში; ვხვდები ჩემს ტოლ ამხა-
ნაგებსა. ოჯ, რა გამეხარდება ხოლმე მათი ნახვა,
იქ იმ სიშორებე!... მალლიდან ჩვენ, ციურნი ცვა-
ონი, და ვარსკვლავები, მერცხლის ბარტყებივით,
ერთად გადმოცცქერით დაბლა ქვეყნიერებას უთან-
აქმულს სიბნელეში.. შეხეთ შეხეთ! სიბნელის ზღუ-
ღეში ნათელს შემოუპვრეტნია და ვიღაცის ული-
სი ხელი ტალახს აგლესს, რათა სინათლე არ შე-
ჰოუშვას... ოჯ, დანძადებელო! რა მეზიზლება დაბ-
ლა ჩამოსვლა! ნუ, ციურნო ცვარნო ნულარ დავ-
ბრუნდებით შავ-ბნელს ქვეყანაში, საღაც ძმა ძმის
სისხლს ჰლვრის, მამა შვილს არ ინდობს და შვილი
მამასა!! დედა რომ არ მყვანდეს, მისი ნახვა რომ არ
მომენატრებოდეს, სულაც არ დავბრუნდებოდი ქვე-
ყნადა.

, აგერ! რაც ქვეყანაზე ავაზაკებია, სულ გარედ
გამოფენილან: ის არჩობს აკვანში შვილს, ამ უმანკო
და უდანაშაულო კრავსა, ნამუსის მოსაწმენდად;
ერთი მეორეს ჯიბესა სჭრის, ფეხს უდებს წასაბო-
რძიკებლად... აგერ, ხალხი ამხედრებულა სა_სავ,

კაცი კაცზე!... ოჯ, ხატებავ და მსგავსებავ ღვთი-
საო! რა ნაირ დაჭმორებიხარ ღმერთსა, რა ნაირ გა-
გიუმსგავსებია მისგან მონიჭებული ხატება!.. ფურ-
ფურ!....

შეგვეზიზლა ჩვენ, ციურ წამებს, უმსგავსოება
ქვეყნისა და ღვთისტრაპეზის წინაშე გავიფიცენით,
აღარ დავბრუნდებულვიყავით ქვეყნად, მოგვემშრალე-
ბინა, მოგვეხმო იგი, რომ ეგებ გონჩე მოსულიყო..
დახეთ, დახეთ!... შექმნეს ბლავილი.

— „გვალვამ ამოგვაგდო, გვალვამ! უფალო, გა-
რდამოიხილენ ზეცით დაბლა და გაანედლე ვენახი
შენი!? — გაისმა ხალხის ლალადისი.

ხალხის სასომიხდილმა ბლავილმა მთლად შეა-
რყია ცის სამყარო; ჩვენ, ციურნი ცვარნი შევკრ-
თით, ერთმანერთს მივეხუტენით, შევჯგუფდით.

ისმინა უფალმა ვედრება ხალხისა, ლმობიერებით
იბრუნა გული!.... იი, დაგვიქნია ფრთანი ღვთისა-
გან მოვლენილმა ბრწყინვალე ანგელოზმა, სიწმი-
ნდე და სისპერაკე მისი გარდმოევლინა ჩვენზედა;
ჩვენც გავსპერაკდით, გარდვიქეცით ობოლ მარ-
გალიტებად და ლაფალუფით დავეშვით ჩვენს მშობელ
დედისაკენ.

რა კარგი რამ ხარ, დედავ ჩვენო!...

რადენიმე დღე ვიყავით მოფარებულნი მის თვალ
თაგან, ჩვენის გულისათვის მისი კვნესა ცის სივრცეს
არღვევდა და ჩვენამდე ლალადებდა. დედა ჩვენი ველარ

იცანით: დარდისა და მწუხარებისაგან სულ დაჭ-
ადროდა გულ-გვამი. სახე მოსკმუხვნიურ დაგვინახა
უ არა მისკენ მომფრინავნი, მსწრაფლ გული გა-
იღედა — გადიღედა კიარა — რას ვჩმახავ, -შრო-
ისაგან, მზისაგან მწარედ დამწვარ დახრაკული
ჟლმკერდი შუაზე გაიპო და შიგ ჩაგვიწვეთა, გუ-
ლში და სულში ჩაგვიტკბო, ჩაგვიხუტა; იქ გულ-
მკერდში, პატარა ხანს დაგვასვენა, მოგვაცნო-
ნილ-მოგვასურიელა დალლილობისაგან, დაგვზარდა,
დაგვანაკადულა და კლდის ძირში ამოგვაჩუხხება.

— წადით, შვილებო, ქვეყანა ასულდგმულეთო,
გვითხრა მან...

— ოპ, რომ იცოდეთ, რა ნაზი ვარ, რა ცქ-
რიალა, რა მარგალიტის ცრემლებივით ამოვდულ-
ვარ იმ კლდის ძირიდგან!!...

იპ, იპ! სწორედ უკვდავების წყაროა ეს „ცრე-
მლის წყარო“, ამბობენ ხოლმე ჩემზე მგზავრები.

დიალ, მე სწორედ უკვდავების წყარო ვარ ჩემით
უდგია სული ქვეყნიერებასა; ტყუილად კი არ მა-
ლერთებდნენ მე ბრძენთა ფილო სოფოსნი!.... მე
ბუნების უზადო, უკანდულო ვარ და მკურნავი ათ-
ას გვართა სნეულებათა. მაგრამ მოვცილდები თუ
არა ჩემს აკვანს-კლდესა დედი-ჩემის წიაღსა
დამესევა ხოლმე ათასი მწერი; ულმობელი
კაცის ხელი ხომ მამტუტებს, ყველა ნაირ უწმ-
ინდურებას მაყრის თავზედა. გული მიღონდება,

სული მეხუთება, შფოთდები, მინდა აღმა ვ
ბრუნდე, მივიდე ისწვ ჩემს აკვანთან, რომ გავიწ
დო ჭუჭყისაგან, მოვიცილო ზურგიდან სხვ:
ცოდათვა ტვირთი და კვლავ ტურთა კეკლუცი
სპეტაკი დაუბრუნდე, მაგრამ რა? იგრვე მომელი
ეს კიდე არაფერი: მსწავლულებმა ხომ მთლ
ილაჯი წაიღეს, ამ დღე ჩემს კიცხვაში არიან, ა
რთხილებენ ხალხს არ დალიოთ ამ მდინარის წყალ
სოლერის და ყველა ნაირი სენის გამჩენიაო. ამ
ეს საყვედური მეარ მეკუთნის: თვით ადამიან
მაუწმინდურებს, თვით! ადამიანმა თავის თავსაც კ
შეუბლალა ზნეობა, დაიმკირა მით თავი და აბა მ
რა კეთილს მიზავდა!?!... ბრაზი მომდის ადამიან
ზედ!... ხანდისხან ულალატებ ხოლმე ჩემს წმინდ
ბუნებას, ჩემს წმინდა დანიშნულებასა, ავბორგდებ
და მივაგებ ხოლმე მას, იმ გულქვა ადამიანსა „კბი
ლსა კბილის წილ და თვალსა თვალის წილ!...
უფალო მაპატიე რომ გადაველ შენსა მცნებასა
„მხოლო მე გეტუვი თქვენ: „არა წინააღმდეგობად
ბოროტისა, არამედ რომელმან ჰვეცის შენ ყურ
მალსა შენსა მარჯვენესა, მიუპყარ მას ერთი ვერ
მოცი!....

იმ დღეს გული სულ ერთიანად გადამიბრუნდა
მიწაში ჩაძრომა მომენატრა. რად? მოვიდა ერთ
ვიღაც დამაშვრალი კაცი, დამეწაფა და ხარბად და
მლია. შუადღისგული იყო; ყველა უწმინდურებ.

თავ-პირზე მეყარა, შევატყე რომ მგზავრს შეაძაგდა-
ვა, ზიზღით გადმომაფურთხა და ჩამომძახა:

— ფუი! რა მყრალი წყალი ყოფილაო!....

— შენივე ბრალია, შენი! ამოვძახე ქვეიდან ჩუხ-
ჩუხითა, შენ შემიგინე ბუნება, შენ წაჰსწყმინდე სი-
წმინდე ჩემი !....

ხმა აღარ გამტა მგზავრმა და ფეხების ფრატუინთ
გასწია.

რა ყანებია წელს, რა ყანებია!! კაცი ვერ გაუვა; ვენაცვალე ამ ჩვენს მდინარეს! მშვენიერი და მაღ-
ლიანი წყალი აქვს; ყოველივე გემოიანი მოჰყავს: პური,
სიმინდი, ლობიო, კიტრს და მწვანილს ნუ-
ლარ იტყვით: ჭამით ვერ გაძლება კაცი!.... მილა-
პარაკობდნენ გლეხები.

მიამა, ძიელ მიამა!.... ამათშიაც ყოფილან სიკე-
თის დამხსოვნებელნი მეთქი ვიფიქრე.

აი .შუალამე მოახლოვებულია.... მოვიქანცე, მოვიღალე ამდენის ჭუჭყის ჩარეცხითა, მაგრამ მა-
გირში გავიწმინდე, გავსპეტაკლი. მე ამ უამდ, ამ
შუალამისას, ისეთივე უმანკო ვარ, თითქმის ისე-
, თივე, როგორიც ამოვდუღვარ კლდის ძირშა. აი
ებლა დამლიონ, რომ ვემალამოვო დამწვარს გულ-
სა, მას დღის სიცხისაგან მოკიდებული ჭუჭყ-ჭანგი
გადაურეცხო; რომ დამლევს სული გაუსპეტაკო,
შუბლიდამ ბურუსი გადვუყარო.

„რჩჩ -უ-უ-უუ!.... მეძინება!.... ახლა კი პატარ
ხანს თვალნი მივრულო... რჩ უ-უ!... „ერთი პი-
რი ძილი წყალსაც მოუვაო,“ მიღულნა თვალნ,
„უკვდავების წყარომ; მის გარემო ყოველივე მი-
წყნარდა. გატყდა ლაშე. განთიადმა ფარდა ასწია
აღმოსავლეთს და ცამ თანდათანობით იწყო ელვა-
რება; „უკვდავების წყარომ“ ნელ-ნელა მორთო
ჩხრიალი, ლვიძილი შაეპარა. აგერ რალამაც შეა-
კყაპუნა წყალი და მისი ზერ -პირი შეათამაშა,
შეანაოჭა.

